



მარტი  
2018 / #13

# ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

ცენტრი "აფხაზეთი"  
მუშაობს ოთხი  
პროგრამული  
მიმართულებით

საარსებო წყაროების უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარება

თემის განვითარება და ადვოკატირება

ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა და განვითარება

მშვიდობის მშენებლობა და ნდობის აღდგენა



საოჯახო სასტუმრო ანაკლიაში  
გვ. 2



მომარდების სტაჟირება თელავში  
გვ. 5



ქალთა ეკონომიკური გაძლიერება  
გვ. 4



პრობლემების გამოვლენა და პრიორიტეტიზაცია  
გვ. 6



## საინფორმაციო შეხვედრა ანაკლიაში - "პროექტი ზრდა საქართველოში"



23 მარტს ანაკლიაში, სასტუმრო „პალმ ბიჩში“, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მენარმეებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. ორგანიზაციის საარსებო წყაროებისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამის მენეჯერმა, დავით გუჩუამ, სტუმრებს რეგიონში მიმდინარე პროექტი „ზრდა საქართველოში“ გააცნო. გარდა ამისა, შეხვედრაზე ნაჩვენები იყო პროექტის ფარგლებში გადაღებული ფილმი, რომელიც პროექტის ორწლიან შედეგებსა და წარმატებული ბენეფიციარების ისტორიებს მოიცავდა.

შეხვედრას 30-მდე მენარმე დაესწრო. აპრილის ბოლოს 15 საუკეთესო ბიზნეს წინადადების ავტორი სასესიო კომიტეტის გადანაცვლებით 10 000 ლარამდე ოდენობის უპროცენტო სესხს მიიღებს.

„ზრდა საქართველოში“ ხუთწლიანი პროექტია. ცენტრი „აფხაზეთი“ პროექტს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახორციელებს. 2016-2017 წლებში პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა მიიღო 59-მა მენარმემ საოჯახო სასტუმროების, სოფლის მეურნეობის და სერვისების განვითარების მიმართულებებით. „ზრდა“ 2020 წლამდე გაგრძელდება და, საერთო ჯამში, 150 ადგილობრივი მენარმე მიიღებს ფინანსურ მხარდაჭერას. „ზრდას“ მთლიანი სასესიო კაპიტალის ოდენობა 625 000 ლარს შეადგენს.



### მარინა სორდია - ანაკლია / ზუგდიდი საოჯახო სასტუმროს განვითარება

მარინა სორდია ოჯახთან ერთად ანაკლიაში ცხოვრობს. საოჯახო სასტუმროს ბიზნესი მან 2012 წლიდან დაიწყო. 2017 წელს მარინამ პროექტი „ზრდას“ ფარგლებში 7 000 ლარის ოდენობის უპროცენტო სესხი მიიღო და თანხა სასტუმროს გედა სართულის კეთილმოწყობას მოახმარა. ახლა სასტუმრო „ვაით ჰაუზს“ ერთდროულად 50 სტუმრის მიღება შეუძლია.

2017 წლის ზაფხულში მარინა სორდიამ 20 000 ლარის გამოუმუშავება შეძლო. საოჯახო სასტუმროში ზაფხულის სეზონზე 8 ადამიანია დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 500 ლარს შეადგენს. მარინა სორდია ამბობს, რომ ოჯახის შემოსავლის ერთადერთი წყარო სასტუმროს ფუნქციონირების შედეგად მიღებული შემოსავალია და, შესაბამისად, ის ძალებს არ დაზოგავს სასტუმროს განვითარებისათვის.



ვიდეო რგოლი - წარმატებული ბენეფიციარები  
<https://bit.ly/2IkNTIo>





### გონა კვარაცხელია - ქუთაისი / ავეჯის დამზადების საამქრო

ონამირიდან დევნილი გონა კვარაცხელია ამჟამად ქუთაისში ცხოვრობს. პროექტის ფარგლებში მან 1200 ევროს მოცულობის გრანტი მიიღო და ავეჯის საამქროსთვის ახალი დანადგარები და ინვენტარი - ხერხი, კუთხის საჭრელი ხელსაწყო, ელექტრო დრელი, ბენჯა ხერხი, ფრები და სხვა - შეიძინა. ავეჯის დამზადების ბიზნესში ის 2004 წლიდან არის ჩართული.

„ახალმა ხელსაწყოებმა საქმიანობა შემიმსუბუქა, ახლა უფრო მეტი შეკვეთის მიღება შემიძლია. საამქროში ძირითადად სამზარეულოს, საძინებლის, შემოსასვლელის და სხვ. ავეჯზე ვმუშაობთ. მოძველებული ხელსაწყოები მქონდა და რომ არა პროექტის დახმარება, დამოუკიდებლად განახლება გამიჭირდებოდა“, - ამბობს ის. ავეჯის დამზადების საამქროში 4 ადამიანი არის დასაქმებული.

### კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მხარდაჭერა გრძელდება

სასჯელაღსრულების #16 პენიტენციურ დაწესებულებაში 16-მა მსჯავრდებულმა 4 თვიანი სახელობო კურსი - „ხელნაკეთი ნივთებისა და ტყავის აქსესუარების ხელოსანი“ - გაიარა. კურსის მონაწილეებმა პროფესიონალურ დონეზე აითვისეს ტყავზე მუშაობის ხელობა, რაც მათ მომავალში საშუალებას მისცემს შეიმუშაონ დიზაინი და დამოუკიდებლად დაამზადონ ტყავისაგან სხვადასხვა აქსესუარები. გარდა ამისა, მსჯავრდებულებმა გაიარეს სოციალური ტრენინგების პაკეტი, რომელიც

4 თემატიკის ტრენინგ-მოდულისგან შედგება. სოციალური ტრენინგები ეხმარება მსჯავრდებულებს გათავისუფლების შემდეგ ახალ გარემოსთან ადაპტირებაში და ისინი მეტად მომზადებული ხვდებიან ახალ ცხოვრებას.

#16 დაწესებულებაში მორიგი სახელობო ჯგუფში სწავლება აპრილში დაიწყო. პროცესში 12 მსჯავრდებული ჩაერთვება და ისინი 4 თვის მანძილზე პროფესიონალი ტრენერის დახმარებით ტიხრული მინანქრის ხელობას დაეუფლებიან.





## ქალთა ეკონომიკური გაძლიერება



ზუგდიდში ახალგაზრდა გოგონებისა და ქალებისათვის სუტაჟის ტექნიკის სწავლება 3 თვე გაგრძელდება. ამჟამად, პროფესიონალი პედაგოგის დახმარებით 11 მონაწილე აქტიურად ეუფლება ახალ ხელობას. „მონაწილეთა ნაწილი სუტაჟის ტექნიკას მარტივად ითვისებს, ნაწილს კი მეტი ახსნა სჭირდება. ჩვენ უკვე სამი კვირაა ვმუშაობთ და ამ ეტაპისთვის პირველი მიღწევები უკვე გვაქვს. ჩემს მოსწავლეებს მე სულ ვუმეორებ, რომ აქსესუარის შექმნისას ყველაზე მთავარი სისუფთავე და სისწორეა და, ცხადია, გემოვნება, რომელიც ყველაფერში წამყვანია“ - ამბობს სუტაჟის ტექნიკის პედაგოგი ირინა ყორშია.

## სალომე ქარდავა - ზუგდიდი / სუტაჟის ტექნიკის ჯგუფის მონაწილე



აფხაზეთიდან დევნილი სალომე ქარდავა ზუგდიდში ცხოვრობს. განათლებით რელიგიათმცოდნეა, თუმცა პროფესიით დასაქმება გაუჭირდა. რამდენიმე წლის წინ ქარგვის ხელობა შეისწავლა და ნაქარგების რეალიზება დაიწყო. მიმდინარე წლის მარტში ცენტრი „აფხაზეთის“ პროექტში ჩაერთო და სუტაჟის ტექნიკის სწავლა დაიწყო. „მეგობარმა მითხრა პროექტის შესახებ და სიამოვნებით ჩავერთე. მინდა სუტაჟის ტექნიკას დავეუფლო. ბისერებით ქარგვა უკვე ვიცი, ამიტომ ამ ტექნიკის სწავლა, ვფიქრობ, არ გამიჭირდება. ახალი ხელობა მომავალში ჩემი საქმიანობის გაფართოებასა და მცირე ბიზნესის წამოწყებაში დამეხმარება. სუტაჟის ტექნიკით შექმნილი აქსესუარებით მინდა ქუდები, კლაჩები, ფეხსაცმელი და სხვა ნივთები გავაფორმო და გასაყიდად გავიტანო“ - ამბობს სალომე.





## ლელა გორთამაშვილი / 18 წლის

„აქ სიარული ძალიან მომწონს. ჩემი მონაწილეობით დამზადებული პროდუქცია მარკეტებში იყიდება და ეს ძალიან მსიამოვნებს. მეც აქაურობის ნაწილი ვარ“.

ლელა სოფელ კისისხევში ცხოვრობს და ამჟამად 4 თანატოლთან ერთად სტაჟირების კურსს გადის რძის გადამამუშავებელ საწარმოში “შუამთა”. მანამდე კი ლელამ სოციალური უნარების ტრენინგები გაიარა, რომელიც 8 სხვადასხვა თემისაგან შედგებოდა. აღნიშნული ტრენინგები ეხმარება ახალგაზრდებს სოციალური უნარების გაუმჯობესებაში, რაც, თავის მხრივ, სამუშაოს მოძიებასა და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას უწყობს ხელს.



## პროექტი - მოზარდების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბება



## ფორუმ-თეატრის კვირეული თელავი / საგურამო / გორი

როგორ მოვიქცეთ კონფლიქტის დროს? - ეს გახლდათ ძირითადი კითხვა 28-30 მარტს თელავის, საგურამოსა და გორის ახალგაზრდებთან ჩატარებული ფორუმ-თეატრის კვირეულის დროს. ფორუმ-თეატრზე დასმული კითხვების ძირითადი მიზანი პროექტის ფარგლებში მოზარდებისათვის ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შეფასება გახლდათ, კერძოდ, კი კონფლიქტის გადაჭრის მართებული გზების ძიება და ქცევის ტიპების გამოყენება კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციების დროს.

ღონისძიების ინიციატორებმა ფორუმ-თეატრის ძირითად თემად სკოლაში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული კონფლიქტი შეარჩიეს. სიმულაციურ კონფლიქტში მოზარდები ინტერესით ჩაერთვნენ და გამოსავლის გზების ძიებისას კონფლიქტის დასაძლევად ასერტული მიდგომა აირჩიეს. ასერტული ქცევის დროს ადამიანები პატივს სცემენ საკუთარ თავს და სხვებსაც და საწინააღმდეგო პოზიციაზე მყოფებთან ღია კომუნიკაციას იწყებენ, რაც, საბოლოო ჯამში, კონფლიქტების მსვილობიანად გადაჭრის საუკეთესო საშუალება გახლავთ





**“პრობლემების გამოვლენა და პრიორიტეტიზაცია”  
ტრენინგები ფოთში, სენაკში, წყალტუბოსა და ქუთაისში**



8-9 მარტს ფოთისა და სენაკის, ხოლო 16-17 მარტს ქუთაისისა და წყალტუბოს დევნილი თემის წარმომადგენლებისათვის თემაზე „პრობლემების გამოვლენა და პრიორიტეტიზაცია“ ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც 43 მონაწილე დაესწრო. ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეებმა მცირე სამუშაო ჯგუფებში იმუშავეს და წარმოადგინეს თემში არსებული სხვადასხვა პრობლემური საკითხები. გარდა ამისა, თითოეული პრობლემა დაყვეს პრიორიტეტების მიხედვით და მოახდინეს მათი რანჟირება.

დევნილი თემის მხრიდან თემში არსებული ძირითადი პრობლემის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, ვინაიდან, პროექტის ფარგლებში მათი აქტიური ჩართულობით მათ მიერვე შერჩეული ყველაზე პრიორიტეტული პრობლემის გარშემო ჩატარდება ადვოკატირების კამპანია, მრგვალი მაგიდის სხდომები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრები და სხვ. ზემოთაღნიშნული აქტივობების მიზანი ადგილზე არსებული პრობლემის დადებითად მოგვარება გახლავთ. პროექტში ქუთაისის, წყალტუბოს, სენაკისა და ფოთის დევნილთა 35 დასახლებაა ჩართული.



**თეკლე ჩიჩუა - სენაკი**  
**სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელი**

აფხაზეთიდან დევნილი 19 წლის თეკლა ჩიჩუა სენაკში, სკოლა ინტერნატის ყოფილ შენობაში ცხოვრობს. ის დასახლებაში არსებული სათემო ორგანიზაციის თავმჯდომარეა. „მინდა პროექტის ფარგლებში დაგვემძღვრა საქმიანობებში აქტიური მონაწილეობა მივიღო. ჩვენ დასახლებაში ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, თუმცა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი შიდა ეზოს მოწყობა გახლავთ. ზაფხულში ეზოში საშინელი მტვერი დგება, ხოლო ზამთარი გაუვალი გუბეებია. ტრენინგებიდან სწორედ იმ ცოდნასა და გამოცდილებას ვიძენ, რომელიც ჩემს თემში არსებული გამოწვევების დაძლევაში დაგვეხმარება“, - ამბობს თეკლე.